# 10 სტრატეგია, რომელიც კითხვის სირთულეების მქონე ბავშვებისთვის სწავლებისას გამოგადგებათ:

1 გამოიყენეთ აუდიო წიგნები, ან თავად გააკეთეთ მცირე მოცულობის ტექსტის ჩანაწერი.



2 გამოიყენოთ ქაღალდის ჩარჩო, რომლითაც მოსწავლე შეძლებს მხოლოდ იმ სიტყვებისა და წინადადებების დანახვას, რომელსაც კითხულობს, დანარჩენს კი დაფარავს.

3 მიცეით ბავშვს უფლება გამოიყენოს გახაზოს ან გააფეროს ტექსტის ის ნაწილი, რომელიც განსაკუთრებულად რთულია მისთვის.



4 ტექსტის წაკითხვამდე, მიაწოდეთ ბავშვს რთული სიტყვების ჩამონათვალი, განმარტებების თანხლებით.

5 დაყავით წასაკითხი ტექსტი მცირე ნაწილებად.

6 გამოიყენეთ ტექსტი, რომელსაც ნათელი სტრუქტურა აქვს, მაგალითად შეიცავს სათაურებსა და ქვესათაურებს.



7 საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოთ კონკრეტული ნაწარმოების ადაპტირებული ვერსია.

8 მიაწოდეთ ბავშვს წასაკითხი ტექსტის ძირითადი სქემა, სადაც გამოყოფილი იქნება საკვანძო საკითხები და ცნებები.

9 საგამოცდო ტესტის შემთხვევაში, ხაზი გაუსვით ან გამოყავით საკვანძო სიტყვები ან ფრაზები.

10 მიცეით ბავშვს უფლება საჭიროების შემთხვევაში ხმამაღლა წაიკითხოს ტესტური დავალება.



MAC GEORGIA